№ 55

ორშაბათი, 13 მარტი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 55

ორშაბათი, 13 მარტი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) დ საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს დ გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ექიმი
## ი. კ. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская противъ кирки.
(100—31—100)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**ვ. ბ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სა განაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ყველა მათ, ვისაც ჩემის მეუღლის, ჩვენის მეფეთა კარის ეკკლესიის მღვდლის ა. ზ. მოლოდინაშვილის გარდაცვალების შემთხვევამ აღუნთო გულში ცეცხლი მწუხარებისა და თანამგრძნობი ცრემლი თვისი ცრემლსა თანა ჩემსა შეუერთა და მიიჰვალა მწუხარება ჩემი. მადლობით მივმართავ ყოვლად სამღვდელოთ, მასთან ერთად თანამწირველ სამღვდელოებას და მგალობელთა გუნდს. დასასრულ, მადლობით მოვიხსენიებ მონათესავეთა და მოყვასთა ჩემთა, რაიცა მათ მიერ ჩემდამო პატივისცემა წერილობით და სხვა გვარათ გამოიხატა და მით მანუგეშეს მწუხარებასა შინა მყოფი მეუღლე მისი.

ქვრივი დარია მოლოდინაშვილისა

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ირაკლი ანთელიძე თანახმად თავისისავე თხოვნისა ტფილისის პოლიციის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ საგნის განხილვა, დაასრულა თავისი მუშაობა და მოხსენება წარუდგენა ხსენებულ საზოგადოების საბჭოს.

⁂ გუშინ, 12 მარტს, სასოფლო-სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური საზოგადო კრება არ შესდგა, რადგანაც კრებას წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო. კრება გადაიდო და დაინიშნა 26 მარტს, კვირას, დილის 10 საათისათვის.

⁂ როგორც გადმოგვცეს, 26 მარტს ბ-ნი მონადირაშვილი გაჰმართავს სასულიერო კონცერტს მცხეთის ტაძრის განახლების სასარგებლოდ. ამ გვარი კონცერტი ბ-ნმა მონადირაშვილმა შარშანაც გაჰმართა და დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ეხლა, როგორც ამბობენ, სამოცზედ მეტი ქალი და კაცი მიიღებს მონაწილეობას კონცერტში. გარდა ამისა, წრეულს ორის-სამის საგალობელის გარდა, სულ ახალი საგალობლები შეუსწავლია ხოროს როგორც ოთხ-ხმიანი, ისე სამ-ხმიანი.

⁂ ქუთაისის მაზრის სოფ. აბაშიდგან იწერებიან, რომ იქ სოფ-

## ფელეტონი

—

### ახალი საქმე

(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

V

ყველიერია. აქა-იქ გორაკებზედ თუ მოსჩანს, თორემ დაბლობებში ყველგან აუღია თოვლი. საცალფეხო გზები გაბილიკულია. სოფელში ერთი ჩოჩქოლი, ზრიამულია. დილის თერთმეტი საათი იქნება. საკმოდა თბილა, მზე ცის გუმბათიდგან სასიამოვნოდ აბნევს დედამიწას სხივებს. ყველა სულდგმული გარედ გამოშლილა, გამოფენილა. მოხუცებულნი, უძლურნი სახლების წინ მყუდროზედ მიკუჭულან და სიჩხინტე, ფიტ-გამოლეულ ასო-ტანს უცხუნებენ ცხოველ-მყოფელს მზის სხივებს. ახალგაზდობა, ჯეილი ქალი, ვაჟი, ვისაც-კი ჯერ სასიცოცხლოდ, სამხიარულოდ უცემს მკერდში გული, ვისაც ჯერ არ უგემია სიმწარე და ნაღველი ამ წუთი-სოფლისა, ვისაც ჯერ არ ჩაჰშხამებია ამ ქვეყნად სივერაგე-გაუტანლობისაგან ცხოვრება, მაღალ, გამოვაკებულ სერზედ შეფენილან, საქანელა ჩამოუბამთ იქვე ახლოს, მაღალ ტოტებ გაშლილ აკაკზე, ჰქანაობენ, ლხინობენ, იმღერიან, დაირა-ბუზიკა გაუჩაღებიათ და სცეკვავენ, დავლურს უვლიან კოხტად, საამურად. პატარა ხანიც და ეს ფერდობი სხვა-და-სხვა სოფლიდგან მოსულ ქალ-რძალით, გასათხოვარ-დანიშნულ ახალგაზდობით გაიტენება, აივსება. ყოველ წელს აქ იკრიბებიან, თავს იყრიან, როგორც შუაგულ სოფელში, სათამაშოდ, საჭიდაოდ, სხვის სანახავად, და თავისს გამოსაჩენად.

განთქმულნი მოჭიდავენი აქ უნდა შეებნენ ერთმანეთს, აქ არის მათი ბურთი და მოედანი, ბჯობნის მჯობნი არ დაილევა და, მაშასადამე, აქ უნდა გამოჩნდეს ვინ გაიმარჯვებს. უპირველესისა და ყოჩაღის მოჭიდავის სახელს ის დაისაკუთრებს, რომელიც ბოლოს წაუქცეველი დარჩება, რომელსაც ზურგს დედამიწაზედ ვერავინ დააკვრევინებს. ეს იქნება მეიარე წლამდის ახალგაზდობის სათაყვანო, ქალების ჰირ-მოსაჰმელი, საქები ვაჟკაცი. ყველა გასათხოვარის ქალის გული იმას ეკუთვნის. რომელ ქალსაც შეუთვლის, სიხარულით დასთანხმდება მის ქმრობას, ცას მოეწევა. ყველა გასათხოვარი ქალი იმას ოცნებობს, მე შემხვდეს მაგისი ცოლობაო, და გულში შური აღეძვრება, თუ სხვამ და არა იმან დაისაკუთრა ეს ყველას სანატრელი არსება. იშვიათი არ არის, რომ თვით ამ ადგილზედ, ამ სერობაზედ მოხდარიყოს პირობის მიცემა ერთმანეთის შერთვა-შეუღლებისა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

ამ კვირასავე გაიხსნა საამხანაგო „კავშირში" ვაჭრობა. განხდა თუ არა ეს ხმა, ელვასავით მსწრაფლ მოედო გარეშემო სოფლებს და ყველანი სავაჭროდ აქეთკენ გამოეშურნენ, როგორც ახლად დაარსებულ მაღაზიაში. სხვაც არა იყოს-რა, ცნობის მოყვარეობაც აიძულებდათ თავიანთის თვალით ენახათ ახალი საქმე, არა-ჩვეულებრივი დაწესებულება. როგორც ბუზი თაფლს, ისე ეხვეოდნენ დედა-კაცები ამხანაგობის დუქანს. ნოქრები ძლივს ასწრობდნენ იმათ გასტუმრებას. თუმცა ყველანი ჰხედავდნენ, რომ ნავთი, შაქარი, მარილი, საპონი, ნემსაულაინი და სხვა უწყებული სავაჭრო საქონელი სხვა, დანარჩენ დუქნებთან შედარებით ნაკლებად და პირიანად იყიდებოდა, ნოქრებიც რიგიანად, თავაზიანად ეპყრობოდნენ, მაგრამ დედაკაცები ვერ შეეგებოდნენ იმ აზრს, რომ ყველა შეშუდი, საქონელი ერთ გადაწყვეტილ, ზედ საქონელზედვე აღნიშნულ ფასად იყიდებოდა.

— ჩვენ ერთი ფასისა არა ვიცით-რა. ანდრია, როგორც ვეტყოდით, ჩვენს ნებაზე მოგვცემდა ხოლმე. თქვენი სიტყვა ბეჭედია რა.

— დედი, აქ მოტყუილება არ შეიძლება, ეს თქვენის გულისათვის არის მოგონილი. ნასწავლი ხალხისაგან არის ეგ ფასები დანიშნული და აბა ისინი თქვენ მოგატყუებენ? გარდა ამისა, თუ ანდრია ერთ ჩითს შენს ნებაზე გაძლევდა, მეორეში ერთი ორად გართმევდათ, რატო თქვენ ამას აღარა ჰკითხულობთ,—ჩასჩიჩინებდა ნოქარი.

— იჰ, ნასწავლი რაღას მიქვიან, ნასწავლებსაც აქ წილი აქვთ და იმისთვინ შემოგვყურებენ ხელში, თორემ აბა თუ ჩვენთვის გული შესტკივათ, ორიოდე გროში გამომიგზავნონ სახლში. არ იშლიდა თავისას მუშტარი.

— ხელსახოცში მაინც შემიხვიე, ამოტელა სავაჭრო ვიყიდეო, ეტყოდა ბოლოს დედაკაცი.

— დედი, ჩემის ჯიბიდგან ხომ არ დავაყრი ხელსახოცის ფულს, აბა როგორ გაგიხვიო, წვალობდა ნოქარი, ლონდებოდა.

— უი, არა, არა, ამოტელა სავაჭრო ვიყიდე და ხელსახოცშიაც არ გამიხვევთ. ანდრიასთან, რომ ერთი თუმნისა მეყიდნა, ბოლჩაში გამიხვევდა ხოლმე.

— დედი, შენა გგონია, ანდრია მუქთად გაძლევდა ბოლჩას; იმის ფასს შენის ჯანიდგანვე იღებდა, ჩითქში ზედვე მიდიოდა, არშინში, ზომაში გატყუებდნენ... ჩასჩიჩინებდნენ ნიადაგ დღე დედაკაცებს ნოქრები.

პირველ ხანში, თუ ამხანაგობას დიდი ვაჭრობა ჰქონდა, არც დანარჩენი მოვაჭრენი ისხდნენ პირ-დაღებულნი, რადგანაც შორეულ სოფლებიდგანაც-კი ამ სოფელში მოდიოდნენ სავაჭროდ. სწორედ ტაციობა იყო მუშტრისა. ანდრიამაც გაახურა საჩუქრებისა, საკაბეების გაცემა დალალ დედაკაცებზედ, რომელნიც ათასგვარ ჭორს ავრცელებდნენ „კავშირის" შესახებ.

— ქა, იქ რა მიგარბენინებთ? რით ვერ გაიგეთ, რომ სულ დამპალ-დუმპალი, დაძველებული, დამწვარი საქონელი მოუტანიათ. იქ თუ წახვედით, ანდრიასავით ბოხჩაში-კი არ გაგიხვიონ სავაჭრო.

ესა და ბევრი ამგვარი ხმები ვრცელდებოდა „კავშირის" სახელის გასატეხად, ხალხის გულ-ასაცრუებლად. როდესაც რომელიმე მუშტარი გვერდს აუქცევდა დანარჩენ მედუქნეებს და პირდაპირ „კავშირისაკენ" გამოსწევდნენ ტუსტუსით, მედუქნეები დაუძახებდნენ:

— ნათლი-დედ, ნათლი-დედ, ცოტა ხანს მოიცადე, ერთი სიტყვა უნდა გითხრა.

— რა გინდა, მეჩქარება, მიუბრუნდებოდა ალმაცერად მუშტარი.

— სავაჭრო ხომ არა გირნდა-რა, სადღა მიბრძანდები, მობრძანდი, რაცა გნებავს, მოგართვა.

— არა, არა, თქვენ ყველაფერს ძვირად აძლევთ. ნავთს რვა გროშათა ჰყიდით, შაურად ორი გირვანქის მეტს-კი არ აძლევთ მარილს, შაქარსაც აბაზათ, ხუთ შაურ ნაკლებ არ აძლევთ, ამხანაგოპის დუ

*) იხ. „ივერია" № 52.

ლის მღვდლის შანიძეს თაოსნობით სოფელს დაუდგენია დაარსებულ იქმნას სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელი. დადგენილება უკვე წარუდგენიათ სასულიერო მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

⁂ რადგანაც ამ უკანასკნელს ხანებში რკინის გზებზედ ხალხის მიმოსვლა მეტად გაძლიერდა, გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია შემოიღოს უფრო სწრაფად მოსიარულე სახალხო ორთქლ-მავალი.

⁂ დღემდის სამელიორაციო კრედიტიდგან სესხის მიღება გაძნელებული იყო, სხვათა შორის, იმის გამო, რომ ყოველი თხოვნა სესხის აღების შესახებ უნდა განეხილა მიწად-მოქმედების სამინისტროს საბჭოს, რომელიც დიდ-რიცხოვანიც არის და იშვიათადაც იკრიბება. ეხლა სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ ყველა თხოვნები სესხის შესახებ გარდაეცეს განსახილველად საგანგებო კომიტეტს, სამის წევრისაგან შემდგარს.

⁂ 11 მარტს ძმ. არზუმანოვების ფირმის წარმომადგენელმა ხ. ბ. არზუმანოვმა შემდეგი განცხადება წარუდგინა ქალაქის მოურავს: გამგეობაში ჩემ მიერ წარმოდგენილს განცხადებას მთაწმინდაზე ფუნიკულერის გამართვის შესახებ დავსძენ შემდეგს: 1) ვკისრულობ გამოვსცე სააბონიმენტო ბილეთები 20%-ის დაკლებით; 2) ქალაქს ნება ექმნება გამოისყიდოს იგი ფუნიკულერი იმის დამთავრების დღიდამ 15 წლის შემდეგ ერთის წლის განმავლობაში; 3) თუ რომ ბ-ნ რობის მიერ წარმოდგენილი პირობები ისეთივე იქმნება, როგორც ჩემი, იმ შემთხვევაში ვთხოვ გამგეობას მაცნობოს, რადგანაც შესაძლებელია ჩემს პირობებშიაც მეღავათიანი ცვლილება მოვახდინო.

⁂ თანახმად ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების თხოვნისა ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამავე საზოგადოების წევრს ბ-ნს ტიგრანოვს მიეცეს სათადარიგო თანხიდამ 150,000 მანეთი უმაღლესი ღირსების სარგებლიანი ქაღალდების შესაძენად.

⁂ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს კრებაზედ დაადგინა გადასდოს საჭირო თანხა ქალაქის ხამის ნავის შესაკეთებლად, რომ წყალ-დიდობის დროს შემწეობა აღმოუჩინოს რიყის ქუჩის მცხოვრებთ.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს მოსთხოვა, წარმოუდგინეთ ცნობები და თქვენი მოსაზრებანი, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული მათხოვრობის წინააღმდეგაო.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტის სესიები წელს დანიშნულია ამიერ კავკასიის შემდეგს ქალაქებში: ქ. ბათუმში 23-ს და ქუთაისში 24 მაისს. სესია შესდგება პალატის უფროს თავმჯდომარის სენატორის ტ. ს. ს. ბ. ვრასკისა და პალატის წევრთა ვ. ვ. კარნოვიჩისა და ჟუკოვსკისაგან. ქალაქ ერევანში 24—25 აპრილამდე, ყარსში 27—28 აპრილამდე და ქალაქ-ზაქათალაში 30—31 მაისამდე. სესია შესდგება პალატის უფროს თავმჯდომარის ტ. ს. ს. მ. ვრასკისა და პალატის წევრთა ა. პ. ფრანცოვისა და ი. ი. ოპტოვცევისაგან.

⁂ სათანადო მთავრობას განზრახვა აქვს სამრევლო-საეკლესიო სკოლების მოსწავლეთათვის ერთგვარი ფორმის ტანისამოსი შემოიღოს.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის ყაზახთა 1 დივიზიის უფროსი ბ-ნი იაგოდინი.

⁂ 10 მარტიდგან გაიხსნა წესიერი მიმოსვლა სამგზავრო მატარებლებისა ბაქო-დარუბანდის რკინის გზაზე.

⁂ ავჭალის ქუჩაზედ ნაყიდი ძროხა გაუსინჯავს 9 მარტს სავაჭრო მოედანზე ბეითალს ბ-ნ შ. დედაბრიშვილს და ძროხა ჭირით ავადმყოფი აღმოჩენილა. ეს გარემოება დედაბრიშვილს საგუბერნიო ბეითლისთვის უცნობებია, რომელსაც მაშინვე განკარგულება მოუხდენია, რომ ავჭალის ქუჩაზე ყველა სხვილ-ფეხი საქონელი გაისინჯოს. ამ განკარგულების შესრულება დაევალათ ბეითლებს შეინ-ფოგელს და ივანოვს.

⁂ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია შეუდგა გამგეობის წარსულის წლის ანგარიშის განხილვას.

⁂ ს. შინდისი, (გორის მაზრა). „ივერიისა“ და „კავკასის“ მკითხველთ შეიძლება არ ახსოვდესთ, რომ შინდისში იქაურმა აზნაურობამ ამ ცხრა წლის წინად დაარსა პურის მაღაზია. მაშინ შეტანილი 100 კოდი პური ეხლა 500 კოდათ იქცა. ამ 500 კოდიდგან განუზრახავთ 300 ფულად აქციონ და შემნახველ-გამსესხებელი კასსა დაარსონ, 200 კოდი-კი ისევ დასტოვონ მაღაზიაში. სამწუხაროდ, ამ მაღაზიიდგან პური მოუპარავთ. ფიცრული ბეღელი ქვევიდგან ბურავლით გაუხვრეტიათ და უზიდნიათ პური. ჯერჯერობით არ იციან, რამდენია მოპარული. ზოგი ოც კოდამდის და ზოგიც ათ კოდამდის ანგარიშობენ მოპარულ პურს. შინდისში ერთი ხელოსანი რუსია შემოხიზნული. ეს გამოტეხილა, რომ აქაურმა აზნაურიშვილებმა გ. და კ. გა—მა ბურავლი მათხოვეს და შემდეგ ხორბლის ზიდვაც დაიწყეს ჩემს სახლში ღამ-ღამობითო. ამ რუსის სახლის გაჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ რამდენიმე ჩანახი პური მაღაზიისა. საქმე ცხინვალის გამომძიებელს გადაეცა გამოსაძიებლად.

⁂ ახალ-სენაკი. ჯერ არავინ მოსწრებია აქ სოფლიდან ჩამოტანილ სურსათ სანოვაგის ამგვარ სიძვირეს. სამი კვერცხი შაურად იყიდება, ქათამი 30—70 კაპ., რაც არას დროს არ ყოფილა. ერთი კბილი ყველი 8—10 კაპ., სულგუნი 20—40 კაპ. და ხან მეტადაც. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფლად ჩარჩები დადიან და ყველაფერი გააქვთ გასასყიდლად სხვა ქალაქებში.

ამ დღეებში სიმინდის ფასმა ცოტა აიწია. სენაკში მოტანილი ფუთი სიმინდში იძლევიან 40—42 კაპ., სოფლადკი 35 კაპ.

მარტმა ცუდი ამინდები მოგვიტანა: აყვავებული ხეხილები ყინვამ გააფუჭა; მთებში თოვლი მოდის, ბარად ცივი ქარი და წვიმებია.

⁂ გომბორი. ხშირად მრავალი უწესოება ხდება აქ. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ყმაწვილი შესულიყო სავაჭროვის დუქანში სადილის საჭმელად. მივარდნოდა მას ორი რუსი და უმოწყალოდ ეცემნათ, ქურდი ხარ შენო, — ეუბნებოდნენ თურმე.

ამას წინად კიდევ შიგ შუა სოფელში ერთ ქართველს ურემზედ დადებული ღვინით სავსე რუმბი მიჰქონდა. გადაუდგა წინ რამდენიმე რუსი, გამოუშვეს ერთი ხარი და ეუბნებოდნენ გლეხს: ღვინო ჩამოგვისხი, თორემ ამ ხარს წაგართმევთო. მეურმე იძულებული იყო ღვინო ჩამოესხა. საკვირველი ის არის, რომ ყოველთვის დაუსჯელად რჩებიან ხოლმე დამნაშავენი.

ამ დღეებში აქ მოვიდა ორი მდიდარი სომეხი, რომელნიც თავ. ნ. ჩოლოყაშვილის მამულის ყიდვას აპირებენ იგრის ხიდის მახლობლად. უნდათ აქ სოფელი გააშენონ და ყარაქილის ახლო მდებარე სოფ. ღშლახიდან ხალხი გადმოასახლონ, რომელნიც იქ შევიწროებულ მდგომარეობაში ყოფილან. ეს ადგილი კარგა ფართო კაკაა და, როგორც ნანგრევები ჰმოწმობს, აქ ერთ დროს სოფელი ყოფილა. სომხებს ძალიან მოეწონათ ეს ადგილები, ეხლა უკან გაბრუნდნენ და კიდევ მოვლენ ფასში მოსარიგებლად.

გომბორზე დიდი თოვლი მოვიდა.

⁂ დ. ზუგდიდი. მარტმა ცუდი ამინდები მოგვიტანა. გამუდმებულმა თოვლჭყაპმა და ყინვამ მთლად დასწვა ყოველგვარი კვირტ-გამოღებული ხეხილი, ამასთანავე გაზშირდა ავადმყოფობა—ჭვავილი და ანთება, რომელმაც ბევრი გამოასალმა ამ წუთი-სოფელს.

## ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება.

გუშინ, კვირას, 12 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ შესდგა ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება. კრებას დაესწრო 26 წევრი. გამოაცხადა რა გამგეობის თავმჯდომარემ ა. მ. ახნაზაროვმა კრება დაწყებულად, სთხოვა წევრთ კრების თავმჯდომარე ამოერჩიათ. კრების თავმჯდომარედ ერთ-ხმად ამორჩეულ იქმნა ბ-ნი ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე. შემდეგ წაკითხულ იქმნა ბალანსი წარსულის წლისა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამხანაგობას ამა 1900 წლის 1 იანვრისათვის წევრთა ფული ჰქონია 942 მან., 117 წევრის საწევრო ფული; დამზადებული ავეჯეულობა—878 მან., დამზადებული მასალად 218 მ. 10 კაპ., იარაღი და სხვა მოწყობილობა 421 მან. 47 კაპ. ხოლო წმინდა მოგება წარსულის წლის განმავლობაში დარჩენილა 542 მან. 8 კაპ. საერთო ჯამი ბალანსისა უდრის 1987 მან. 79 კაპ.

დასასრულ კრება შეუდგა გამგეობის წევრთა არჩევანს, რადგან წლიური ვადა სამსახურისა გაუთავდა სამს წევრს: მიხეილ ჩოდრიშვილს, გიორგი ბერძენიშვილს და ომან დვალიშვილს. ამ სამს მველს გარდა დასახელებულ იქმნენ კანდიდატებად კიდევ: იოსებ მაჭავარია-

---

ქან ბი-კი ნავთი ექვსი გროშია, შაქარი თექვსმეტი კაპეიკი და მარილი ოთხი გროში.

— ხა, ხა, ხა, ხა, ღკარძლიანად გადაიხარხარებდა მედუქნე, თითქოს მართლა გულიანად ეცინებოდა და არავითარი სიცბიერე არ იმალებოდა, არ იყო დაბუდებული გულსა მისსა. დედი არ იცი, რომ იმათი ნავთი წყლიანია, თუქურმიშისა, შაქარი და მარილი კი ზღვაში გამოტარებული, აი ამისმა მზემ! და ლოყაზე შემოირტყამდა ხელს; იმათი შაქარი არ ატკბილებს ჩაის, მარილი კიდევ არ ამარილებს, თუნდა ერთი გირვანქა ჩაჰყარო საჭმელში. მობრძანდი, თუ იმისთანა წყლიანი ნავთი გინდა, ოთხ გროშათ მოგართვა.—მობრძანდი, დედი, მობრძანდი, იქით ტყუილად-და მიხვალ.

პირველ ხანში თუ ვერ ატყუილებდნენ, ვერ იბირებდნენ ხალხს, ბოლოს და ბოლოს გასჭრა იმათმა მზაკვრულმა სიტყვამ. ერთ წელს, მართალია, გაჩაღებული ვაჭრობა ჰქონდა ამხანაგობას, მაგრამ მერე და მერე, მუშტარი ნელ-ნელა ჩამოეცალა, ანდრიას უფრო მეტი მუშტარი ეხვეოდა, ვიდრე იმათ. ამას გაუძლებდნენ, თუ მახლობლად მეორე მეტოქე არ გაჩენოდათ. იმ წლის შემოდგომიდამვე სერგოს სიძემ ავეტიქ მანუჩაროვმა გვერდზე საბაზაზო-საწვრიმალო დუქანი გახსნა ამხანაგობის საწინააღმდეგოდ და ამ დუქანს „სომხის ამხანაგობა“ უწოდა.

ავეტიქა ცნობილი, მუშტარ-შეჩვეული, გამოცდილი მოვაჭრე იყო და მეშუდიც ბლომად ჩამოიტანა. ავეტიქას სახელზედ ხალხი „სომხის ამხანაგობას“ მიაწყდა, იქითკენ დაიწყო დარუება.

აქეთ მობრძანდით, აქეთ, უძახოდა გახარებული ავეტიქა ხრინწიანის ხმით: მაგათ ვაჭრობისა რა გაეგებათ, ვისაც უნდა დავენაძლევები, თუ ეგენი არშინს ხეირიანად დაატრიალებენ ხელში. მობრძანდით, როგორც თქვენი ნებაა, იმ ფასში მოგართვათ.

ოღონდ ხელში ეგდოთ მუშტარი და აბა როგორღა გაუსხლტებოდათ. ასე ორ წელს მიდანდალებდა ამხანაგობის ვაჭრობა და როგორც იყო კანტი-კუნტად შემოვლილ მუშტრით სულს ითქვამდნენ. მომეტებული ნაწილი წევრებისა შემოჰფთხა ამხანაგობას, დაინახეს რა, რომ „კავშირში“ მუშტარი წინანდებურად აღარ ეტანებოდა და იმათ შეტანილ ფულს სარგებელი არ ეძლეოდა. ხმა გაავრცელეს, სტეპკომ ამხანაგობის ფულები გაფლანგა, ყლარწანი უყო, შეჭამაო. აღმოჩნდნენ ისეთნი წევრნიც, რომელნიც თავიანთ საწევრო ფულის უკანვე გატანას თხოულობდნენ. აი სოფელ X-ში მცხოვრებელი, კარგა შეძლების პატრონი სიმონა ასლამაზიანთი, რომლის ცხოვრების წყარო სოფლელებზედ გასესხებულ ფულის სარგებელი შეადგენდა, კბილებს იღეჯდა, დორბლებსა ჰყრიდა, რადგანაც პირველ მოთხოვნილებაზედვე არ დაუბრუნეს ის ათი თუმანი, რომელიც მას ამხანაგობაში საწევროდ შეეტანა.

— კაცო, დაიწყებდა ჭოტა ხმით და სვენებ-სვენებით სიმონა: მაგას იკვეხოდა თქვენი სტეპკო, ჯერ ხოჭოში წევს ჩვენი „კავშირი“ და ესეთი საშიში შეიქმნა ჩვენის მტრებისათვისაო, როდესაც აკვანში გადავაწვენთ, საკუთარს შენობას აუშენებთ, ფრთებს შეისხამს და მტერს მუსრს გაავლებსო?!. ეგ არის მაგისი ქადილი, კაცო, რომ ხოჭოშივე ჩააჩრჩო, სული ამოაძრო ჩვენს ამხანაგობას და წელიწადში ირჯელაც ველარ მოუკანკალებია შეშუდი, მაშინ როდესაც ავეტიქასა და ანდრიას საქონელი საქონელზე მოსდით ულეველად?!. მაგან შეჭამა, კაცო, დალუპა ჩვენი ფულიც, თორემ სხვას ვილა იჩივლებდა. ამბობენ, თავიანთი მამისეული ვენახი ეხლა ზვრად აქცია, სარის მაგიერ სულ მერანი შეუდგა, ამას იქით იმას მეტი საცხოვრებელი რაღათ უნდაო. საიდგან, კაცო, ერთი მითხარით. როდესაც ძმას გაეყარა, ერთი გატლეკილი ჯიბის მეტი-კი არა ჰქონდა-რა. განა, რომ ჩვენის ოფლით მონაგარი ფულები შეიტყაპუნა. აკი ამიტომ დაცარიელდა ყაფაზები. კაცს რომ უნდოდეს, ხეირიანს ვეღარაფერს იშოვნის იქ.

უბრალოდ დაუწყებდა მობაასე სიმონას, რომ „ეგ ტყუილად მოგონილი ჭორია, სტეპკოს ვენახი სრულიადაც არ შეუმერქნავს; იგი არა თუ უსასყიდლოდ ემსახურება საზოგადო დაწესებულებას, პირ-იქით, თავისი უკანასკნელი, სულთ აქათი, შეძლებაც-კი საზოგადოებისათვის შეუწირავს; ყველაფერში დამნაშავე ჩვენი ხალხია, რომელსაც არა აქვს საზოგადოებრივი გრძნობა, არ იცის დაფასება საზოგადო მოღვაწისა, საზოგადო საქმისა, გაუგებრად ისევ კერძო, ავეტიქასთანა ჯურის მოვაჭრისაგან ტყვის გამრობას ამჯობინებს „კავშირში“ ვაჭრობას, სადაც ყველაფერი კარგის ღირსებისაა და ნაკლებ ფასშიაც იყიდება“.

— კაცო, შენ მე რას მასწავლი, გაიძახოდა ისევ თავისას სიმონა, თითონ ხომ დალუპა ქვეყანა, ეგ კიდევ არაფერი. შეუყრია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვიღაცა გამოუცდელი, ვაჭრობის უცოდინარი ნოქრები, რომლებიც ერთ აბაზს თუ გამგეობას უჩვენებენ, ორ იმდენს თავიანთ ჯიბისაკენ მიაქანებენ, თორემ ჩვენ რაგვიშავდა...

ასეთი და ამგვარი ხმები ტრიალებდა, ვრცელდებოდა ამხანაგობის და მის გამგის შესახებ. რასაკვირველია, სტეპკოს ყურთამდისაც აღწევდნენ ეს აზრები, მომეტებულის სიმწვავით შეზავებულნი. ბოლოს და ბოლოს ყოველ წლიურ კრებებზედაც-კი გამგეობის მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენელნი დაურიდებლად მიახლიდნენ ხოლმე პირში ჭორებზედ დამყარებულ, უსაბუთო ბრალდებათ და გესლიანის სიტყვებით გულს უკოდავდნენ, მაგრამ არც სტეპკო უშვებდა იმათ უპასუხოს, გულ-ნაკლულს...

...ერთხელ სტეპკო მაგიდას მისჯდომოდა, წინ გადაშლილი წიგნი ედო, მაგრამ იმისი ნაღვლიანი თვალები სულ სხვაგან იყურებოდა. „სადაც მივსულვარ, ვისთვისაც ჯანღონე შემილევია, იმისგან სავსე ფიალი, ნაღველი დამილევია“-ო, იმეორებდა სტეპკო პოეტის უკვდავ სიტყვებს. მართლაც, შხამ-გესლს მასმევენ, ღვარძლს მაყრიან თავზედ. ესენი კაცს ვერ იცნობენ, ამათთვის სისხლიც დაჰღვარო, მაინც ათასგვარ ჭორს გაგივრცელებენ, უნდო თვალით შემოგხედავენ. ჩემზე რაც უნდა სთქვან, ჯანი და ღონე გავარდეთ, საზოგადო საქმეს ძირს უთხრიან, ეს არის სავალალო. რატო თუმანში თუმანი მოგება არ გვაჩვენაო!.. განა ეგ იყო ჩვენი სურვილი, განა ჩვენი ამხანაგობა მოგებისათვის ილვწოდა?!. მაგრამ ესენი კაცს მადლს მატლად გადაუქცევენ. აი ორის თვის შემდეგ ოთხი წელიწადი შესრულდება, რაც საზოგადოებას ვემსახურები, გროში, ცალი ფული არ ვიცი ჩემის ამდენის ხნის შრომისა, მაინც გაიძახიან „მაგან დაგვღუპაო!“. აი მე წავალ, გაგეცლებით და მერე დაინახავთ, როგორი დამღუპავი ვიყავ ამხანაგობისა...

ე—ლი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, სოფრონ ტარუაშვილი და ა. ელიავაშვილი. კენჭი ამოუყრიათ: გიორგი ბერძნიშვილს 22 თეთრი უშავოდ, ა. ელიავაშვილს 17 თ.—5 შ., იოსებ მაჭავარიანს 14 თ.—8 შ., სოფრონ ტარუაშვილს 14 თ.—8 შ. ომან დვალიშვილს 13 თ.—9 შ., მიხეილ ჩოდრიშვილს 8 თ.—13 შ. ს. ტარუაშვილსა და ი. მაჭავარიანს წილი უყარეს და წილი ხვდა ს. ტარუაშვილს. ამგვარად გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბერძნიშვილი ა. ელიავაშვილი, ს. ტარუაშვილი და ამათ კანდიდატებად დატოვებულ იქმნენ ი. მაჭავარიანი და ო. დვალიშვილი.

წევრთ მადლობა გარდაუხადეს ბ-ნ ა. ნ. ფურცელაძეს თავმჯდომარეობისათვის და დაიშალნენ.

## კნ. კ. ფ. გურამიშვილის კონცერტი.

გუშინ-წინ, 11 მარტს, როგორც მოხსენებული იყო „ივერიაში“, „ტფილისის საკრებულოს“ დარბაზში გამართულ იქმნა კონცერტი ქართველს საზოგადოებაში კარგად ცნობილის ნიჭიერ მომღერალ-ქალის კნ. კ. ფ. გურამიშვილისა. კონცერტის გამმართველის დიდი ნიჭი, საქველ-მოქმედო საქმეში გულ-წრფელად და დაუზარელად მათ მხრივ მონაწილეობის მიღება მუდამ, როდესაც-კი მიუწვევიათ და თვით ის გარემოება, რომ მაღალს წრეს ეკუთვნის იგი, ყოველივე ეს თავდები იყო იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება სრულის თანაგრძნობით მიეგებებოდა კონცერტს და ნიჭიერს მომღერალს-ქალს ერთხელ კიდევ დაუმტკიცებდა ღირსეულად დამსახურებულს პატივისცემას, ერთხელ კიდევ აგრძნობინებდა იმ სიამოვნებას, რომელსაც ხელოვნების მსახურნი განხორციელებულ ბედნიერებად სთვლიან. მაგრამ სამწუხაროდ მოლოდინი სავსებით არ გაგვიმართლდა და „საკრებულოს“ ისედაც მცირე დარბაზი მეტად თხლად იყო შევსებული. მიზეზი ამ გარემოებისა, ეჭვი არ არის, ხალხის გულცივობაში არ მოიძებნება, რადგანაც დამსწრეთა განუსაზღვრელი თანაგრძნობა ამტკიცებდა, რომ ქართველ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც მუსიკალური გემოვნება საკმაოდ განვითარებია, ერთის გრძნობითა და ერთის პატივისცემით ეპყრობა მომღერალს ქალს, ხოლო თუ დანარჩენი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა უბრალოდ გულცივობას იჩენს, მხოლოდ იმად, რომ ჯერ საკმაოდ არა აქვს შემუშავებული და შეთვისებული გემოვნება მაღალ და ფაქიზ მუსიკალურ ნაწარმოებთა და ამგვარს კონცერტებს ადვილად მოსანელებელს ოპერა-სადამოებს არჩევს.

კონცერტში კნ. კ. ფ. გურამიშვილისა ნამდვილ ანდამატად გადიქცა და დიდიდგან დაწყებული პატარებამდე ყველას ყურადღება მისს მაღალ-ნიჭიერს ხელოვნურს სიმღერას ჰქონდა მიპყრობილი: ტკბილი, წმინდა, ნაზი, მოქნილი და გრძნობით სავსე ხმა სამოთხისებურ გულწარმტაცობით იზიდავდა და ატკბობდა დამსწრეთა სმენას; ხმის ესეთი შეზავება, სადაც მაღალი თუ დაბალი კილო, ორივე შესაფერად რბილადა და სასიამოვნოდ ისმის და ჟღერები იქამდის სუფთად და წყობისად ასდევს-ჩამოსდევს, რომ ყურს არსად ეხოთირება და სიყალბე განდევნილია, რაიცა თვით ცნობილს მომღერლებსაც-კი უძნელდებათ ხოლმე, იშვიათი ხელოვნება და ნიჭია და კნ. გურამიშვილისას-კი სწორედ ამ ტეხნიკათ შეუძლიან იამაყოს. ხოლო მდიდარს ტეხნიკას ამთავრებს და სრულ-ჰყოფს ბუნებით ძლიერი და წმინდა ხმა, რომლის შემენითაც თვით რუსეთის უპირველესი სატახტო სცენებიც-კი იამაყებდნენ.

დამსწრე საზოგადოება, როგორც უკვე მოგახსენეთ, სრულის თანაგრძნობითა და აღტაცებით მიეგება, მომღერალს-ქალს მრავალი ყვავილები მიართვეს, ერთს მათგანში ფულის პაკეტიც იყო, გამოწვევასა და №№-ების გამეორებას დასასრული არა ჰქონდა და ერთობ შესაფერის სიყვარულით და პატივისცემით მოეპყრა. კნ. გურამიშვილის გარდა კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნნი მატკოვსკი და სერბულოვი. ერთიც და მეორეც საზოგადოდ კონცერტის გამარჯვებას ხელს უწყობდნენ და გურამიშვილის კნეინასთან ერთად საზოგადოების თანაგრძნობას იზიარებდნენ. კონცერტი ღამის 11 საათზე დასრულდა.

მუსიკის მოყვარული

## საზოგადო მაღაზია ს. მათხოჯში.

(ქუთაისის მაზრა)

სწორედ ერთი წელიწადია, რაც ს. მათხოჯში, ადგილობრივ სოფლის მასწავლებლის მეთაურობით 35 მონაწილემ, სულ მცირე თანხით (545 მ.) გაჰმართა საზოგადო მაღაზია. საეჭვოდ და საფიქრებლად მიაჩნდათ მაშინ დამაარსებელთ მაღაზიის მომავალი. ბევრი შრომა და დრო მოანდომა საქმის მოთავემ იმას, რომ დაეჯერებინა ამხანაგები, „საცდელად“ მაინც გაემართა პატარა დუქანი, სადაც, სხვა თუ არა, თვითონ მაინც იყიდდნენ პირველ მოთხოვნილების საქონელს კარგს და იაფ ფასად.

მაღაზიის საქმე დაწყებიდამვე კარგად მოეწყო. სოფლელები მალე დარწმუნდნენ, რომ აქ საქონელი გაცილებით უკეთესია, ვიდრე კერძო დუქნებში, მასთან უფრო იაფიც. მუშტარი მოაწყდა მაღაზიას, წევრები მოემატა, სახელიც გაიკეთა იმ ფირმებთან, საიდამაც საქონელი გამოჰქონდა. 3 იანვრის მომხდარმა 10 თვის მოქმედების ანგარიშმა სულ გაჰფანტა ყოველივე ეჭვი, თუ ვისმე დარჩენოდა იგი საზოგადო მაღაზიის ღირსებისა და მნიშვნელობის შესახებ, და დღეს იგი ყოველ მხრივ ნდობა-მოპოვებული მტკიცედ არის დაყენებული გაუმჯობესებისა და გაფართოების გზაზედ.

როგორც ვთქვით, მაღაზიას პირველად—4 მარტს 1899 წ.—ჰყავდა მხოლოდ 35 წევრი, მათი საწევრო ფული შეადგენდა 545 მანეთს (საწილო პაი ჰღირს 10 მან. თითო წევრს შეუძლიან იქონიოს არა უმეტეს ხუთის პაისა); 3 იანვარს 1900 წ. წევრების რიცხვი იყო 69, საწევრო ფული 1135 მან.; 15 თებერვლისათვის წევრების რიცხვმა იმატა 84 მდე; ეს უმთავრესად უნდა მივაწეროთ მომხდარ ანგარიშის გავლენას. საქონელი უყიდნია მაღაზიას 10 თვის განმავლობაში 4204 მან. 40 კაპ., გაუყიდნია 3385 მან. 24 კ. ნისიად წევრებზედ 342 მან. 44 კაპ., მოგება დარჩენილა, გარდა 178 მან. 96 კაპ. (დუქნის ქირა, ნოქარი, სავაჭრო მოწმობა და სხ.), 398 მან. 29 კაპ.; ამ მოგებიდგან სათადარიგო თანხად გადაიდო 100 მან., გაიცა საჩუქრად 56 მან. და დანარჩენი დაურიგდა წევრებს—28 კაპ. თუმანზედ თვეში. საყურადღებოა, რომ გაყიდულ საქონლებში ნავთი გაყიდულა 382 მან., საპონი 340 მან., შაქარი 117 მანეთამდე.

მაღაზიას ჯერ იმდენი შეძლება არ აქვს, რომ საქონელი პირდაპირ მწარმოებლებისაგან დაიბაროს; ეს, რასაკვირველია, საქონლის ფასზედ ჰმოქმედობს, მაგრამ მაღაზია ეხლაც უფრო იაფად ჰყიდის საქონელს, ვიდრე იყიდება მეზობელ ხონში, თორემ უფრო ძვირად არა. იმავე მიზეზისა გამო მას ვერ მოუხერხებია ჯერ იქონიოს ყოველივე საჭირო საქონელი; დღეს იგი მხოლოდ საწვრილმანო დუქანია უმთავრესად, თუმცა რკინეულობა და თუჯის ნივთებიც აქვს; ვერ გამოუწერია მარილი ვაგონებით, რომ მუდამ გამოულეველად ჰქონდეს და იაფად ჰყიდდეს ამ მეტად საჭირო საქონელს; ვერ მიუწვდენია სოფლელებისათვის მატყლი, რომელიც ასე ესაჭიროება სოფელს. ყველაფერი ეს შესაძლებელი იქნება მაღაზიისათვის მომავალში, როდესაც ის მეტს საშუალებას მოიპოვებს; მას წევრები მოემატება, განსაკუთრებით ივნისში, როდესაც აბრეშუმის პარკის გაყიდვით რამდენიმე ათასი მანეთი შემოვა სოფელში. ათისთვის ანგარიში და გარეგანი გარემოებანი სრული თავდებია იმისა, რომ საზოგადო მაღაზიას მტკიცე ნიადაგი აქვს.

მათხოჯი კარგად მოზრდილი სოფელია, რომელშიაც 350 კომლი ითვლება. მთელი სოფელი ფულით სცხოვრობს; მიწა ნახევარს სოფელს თუ აძლევს სამყოფ სარჩოს; ყველაფერი საყიდელი აქვთ მათხოჯელებს, როგორც, მაგალითად, სიმინდი, პური, ლობიო, ხორცი, ყველი და სხ. რაკი სახლში საშოვარი ცოტაა, სოფლელები გარედ გარბიან—შავის ზღვის პირად, ტფილისის გუბერნიაში, რუსეთში უბრალო მუშებად, ჩალვადრებად, ვაჭრებ-მრეწველებად, და სხ. ძვირად ნახავთ ისეთს ოჯახს, რომ რომელიმე მისი წევრი გარედ არ იყოს გასული. ეს გარედ ყოფნა, სხვა და სხვა ალაგას მისვლა-მოსვლა, განათლებულის ცხოვრების ნახვა მცხოვრებთა მოთხოვნილებას აორკეცებს; ქალაქიდგან დაბრუნებულისათვის ჩაი-შაქარი საჭირო მოთხოვნილებად გამხდარა, იმას სჭირდება უკეთესად სმა-ჭამა, მას უფრო ეთვისება კარგი ქურქელი, იარაღი, ავეჯები და სხ. ფულის საჭიროებისა გამო ქალებიც ხელ-გამოღებულნი არიან სახლში: აკეთებენ საჩოხე შალებს (თვეში თითო ოჯახი 2-3-4 შალს), ყაბალახებს, წინდებს, დარაიებს, ბლომად აშენებენ აბრეშუმის ჭიას და წელიწადში 300 მანეთამდე ჰყიდიან აბრეშუმის პარკს. ამასთანავე მათხოჯი მდებარეობს დიდს შარა გზაზედ, იგი სხვა სოფლელებისათვის მისაწვდენია; მათხოჯში ჰმუშაობს ხის სახერხი ორთქლის ქარხანა. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ საზოგადო მაღაზიას აქ აუცილებლივ ეყოლება ბლომად მუშტარი.

მხოლოდ საზოგადო მაღაზი მტკიცედ უნდა ადგეს არჩეულ გზას, შეურყევლად უნდა მისდევდეს თავისს არსებობის მიზანს—მიაწოდოს მომთხოვნელებს ყოველივე საჭირო საქონელი კარგის ღირსებისა და რაც შეიძლება იაფად. რასაკვირველია, საზოგადო მაღაზიას სხვა მნიშვნელობაც ექმნება—იგი შეაჩვევს სოფლელებს საერთო მოქმედებას, მათ გონებას გამოაფხიზლებს, მეტს დაკვირვებას მისცემს. თავისს მონაწილეებსაც ვერ დაივიწყებს მაღაზია იმ მხრივ, რომ სარგებელი უნდა მისცეს მათ პაის ფულზედ; ისე ხომ წევრებიც არ ეყოლება. ნამეტნავად დიდი მნიშვნელობა აქვს საწილო სარგებელს პირველად, მერმე კი შეიძლება მისი შემცირება საქონლის უფრო გაიაფებით, თუ მოგებიდგან ზოგიერთის ნაწილის საზოგადო საქველმოქმედო საქმისათვის გამოყოფით. მაგრამ კარგის და იაფად საქონლის მიწოდება არის და უნდა იყოს მაღაზიის უმთავრესი მიზანი, მისი conditio sine qua.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მაღაზიის მოთავე და გამგე ლავრ. ჩიმაკაძე შემდეგშიაც კარგად გაუძღვება საქმეს, თავისს სიყვარულს და ხალისს არ მოაკლებს მაღაზიას.

უადგილო არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ მაღაზიის დაარსების მოთავე ლავრ. ჩიმაკაძის შესახებ. ის სოფლის ერთი იმ მოღვაწეთაგანია, რომელთაც ჩუმად, უყვირლად, წყნარად შეაქვთ სოფელში ნათელი, აუმჯობესებენ მას ნელის, მეტად მძიმე, მაგრამ მტკიცე და ნაყოფიერი შრომით. შავი ღრუბელი დაჰყურებს მათ შრომას, ცივი წყვდიადი გარს ახვევია. ბევრი დღე, ბევრი სისხლი უნდა დაჰკარგონ მათ მცირეოდენ ჭეშმარიტების დამტკიცებისათვის, ბევრი ოფლი უნდა დაღვარონ, რომ ცოტაც არის, წასწიონ წინ გარშემო ცხოვრების მძიმე ბორბალი. შავი შრომაა მათი შრომა. ამხანაგის თბილი სიტყვები არ ანუგეშებს მათ გაჭირვების დროს, მათ გამარჯვებას არავინ მიეგებება ქებით და ტაშის დაკვრით... ისინი მაინც შრომობენ, შრომობენ დაუღალავად იმ იმედით, რომ ყოველი სიტყვა და მოქმედება მათი არ დაიკარგება; თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გამოიტანს ნაყოფს. ლ. ჩიმაკაძე ადგილობრივ სასოფლო სკოლის მასწავლებელია და ამ ასპარეზზედ სრული პატივისცემა აქვს მოპოვებული როგორც ბავშვებისა, ისე მათის მამებისა. რამდენიმე წელიწადი მოანდომა მან ს. მათხოჯში ამ მაღაზიის საქმეს. მისის თაოსნობით და შემწეობით არსებობს ნახახულევის საზოგადოების *) სასოფლო ბანკი, რომელიც დღეს იმდენად განვითარდა, რომ 127 წევრი ჰყავს და საწევრო ფული, 6094 მან. **) ეხლა ლ. ჩიმაკაძე შეუდგა ს. მათხოჯში აბრეშუმის პარკის „სახჩობის“ მოწყობას და საზოგადო ბეღლის დაარსებას, ამ უკანასკნელისათვის უკვე აყიდვინა სოფლელებს შენობა და აზრად აქვს არა მარტო სესხი აძლიოს გლეხებს ამ ბეღლიდგან, არამედ ზოგიერთი წილი ბეღელში შეკრებილი სიმინდისა მოახმაროს სოფლის სხვა და სხვა საზოგადო საქმეს.

ს.—

*) ს. მათხოჯი ეკუთვნის ამ საზოგადოებას.

**) ამ ბანკის ანგარიში იყო 1 იანვ. 1900 წ.: საწევრო (პაის) ფული 6094 მან. 22 კ., შესანახად ბანკში შეტანილი 3668 მან. 74 კ., სათადარიგო თანხა 107 მ. 46 კაპ., გადასაცემი 91 მ. 27 კ., მოგება 765 მან., სულ 10,726 მ. 69 კ.; აქედგან სესხად გაცემული 8228 მ. (სულ 1899 წ. გაუციათ 289 სესხი 17,510 მანეთისა), ნაღდი ფულია კასსაში 369 მ. 69 კ., საკრედიტო დაწესებულებებში 2,000 მან., ქონება 129 მ.,—სულ 10,726 მან. 69 კ.

# რუსეთი

როგორც „Сѣв. Кур.“-ი იუწყება, სამინისტროს დაუმტკიცებია ახალის საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოებას აზრად ევროპის კულტურისა და რუსეთის ნაწარმოების გავრცელება აქვს აღმოსავლეთ ქვეყნებში. საზოგადოება ამას გარდა შეუდგება ამ ქვეყნების ცხოვრების გაცნობას, მათის ეკონომიურ და გონებრივ მდგომარეობის გამოკვლევას. ამის განსახორციელებლად საზოგადოება გამართავს გამოფენებს და მუზეებს როგორც თვით რუსეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ ქვეყნებშიაც, გაგზავნის ექსპედიციებს სხვა-და-სხვა აზრით, გამოსცემს წიგნებს აღმოსავლეთის ხალხის, მათის ენის, ადგილობრივ ბუნების და სხვათა შესახებ, დააარსებს აღმოსავლეთ ენათა კურსებს, ერთის სიტყვით, ეცდება აღმოსავლეთ ქვეყნებისა და რუსეთის დაახლოვებას. საზოგადოება საკუთარ ჟურნალის ბეჭდვასაც შეუდგება.

— იმავე გაზეთის სიტყვით, პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის დოცენტს პ. ს. კოსსოვიჩს ნება მიეცა გამოსცეს ახალი სამეურნეო გაზეთი ამ სათაურით: „Журналъ опытной агрономіи“. ჟურნალი უცენზუროდ იქმნება; წელიწადში ექვსი წიგნი გამოვა; ღირება წელიწადში 6 მანეთად. პირველი ნომერი მარტის გასულს გამოვა.

— როგორც ვიწყით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტებთან სტუდენტთა საცხოვრებლები იქმნას შემოღებული. ზოგს უნივერსიტეტს უკვე შეუმუშავებია პროექტი ამის შესახებ და წარუდგენია სამინისტროსათვის. სხვათა შორის ხარკოვის უნივერსიტეტს ნება მიეცა შეუდგეს შენობის აგებას. გადადებულ იქმნა ამისათვის 225,000 მანეთი.

— საერო განათლების სამინისტრომ სახელმწიფო საბჭოში მოხსენება შეიტანა იმის შესახებ, რომ ყოველ წლიწადს გადადებულ იქმნას 3,600 მანეთი. ამ ფულით დაარსებულ იქმნება განსაკუთრებული განყოფილება, რომელმაც უნდა განიხილოს ხოლმე ყველა ის საგნები და კითხვები, რაც ქალთა პროფესიონალურ განათლებას შეეხება.

— პეტერბურგის ფარმაცევტთა საზოგადოებამ თავისს წევრებს მიწვევის ბარათები გაუგზავნა ფარმაცევტთა საერთაშორისო მე-9 კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად. ეს კრება პარიჟში მოხდება ამ გაზაფხულზედ, სახელდობრ 2—10 აპრილს.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვს გამართოს სახელმწიფო რკინის გზებზედ რამდენიმე ახალი საავადმყოფო.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისის ჟურნალ-გაზეთების ერთი ნაწილი აღტაცებაში მოიყვანა გენერალ რობერტსის დეპეშამ, რომელიც სამხედრო მინისტრს გაუგზავნა მან ბლუმფონტეინში შესვლის შემდეგ, და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმაც რესპუბლიკის პრეზიდენტს შტეინს „პრეზიდენტად ნამყოფი" უწოდა, ხოლო რესპუბლიკის მთავრობას — „ყოფილი მთავრობა". ბლუმფონტენის ბურგომისტრი (ქალაქის მოურავი) ფრაზერი პურ-მარილით გამოეგება ინგლისის ჯარს და ამიტომ რობერტსმა ის ისევ თავისს თანამდებობაზე დასტოვა. მაგრამ ეს ფრაზერი შოტლანდიელი ყოფილა შთამომავლობით და ინგლისის მომხრე დასის წევრი. 1896 წელს მას რესპუბლიკის პრეზიდენტობა მოუწადინია და კენჭი უყრია, მაგრამ დიდძალი ხმის უმეტესობით გაუშავებიათ. პრეზიდენტს შტეინის ძმა, რომელმაც თავისს ფერმაში საუზმეზე მიიწვია რობერტსი და ფრენჩი, ეგრეთვე ოპოზიციის წევრი ყოფილა და დიდად ეწინააღმდეგებოდა თურმე მთავრობას, რომ ორანჟის რესპუბლიკა ტრანსვაალს მიმხრობოდა. როცა ომი გამოცხადდა, თავისი მომხრეებით ის კინაღამ გადასულა ინგლისელების მხარეს.

— ლონდონში, საზოგადოდ, ძლიერ მოუწონეს რობერტს ზრდილობიანობა და გულკეთილობა კრონიესადმი. როგორც ვიცით, რობერტსმა დიდად პატივი სცა კრონიეს და ინგლისის ჯარის გენერალი დაუნიშნა მხლებლად. მაგრამ, ინგლისის ახალშენებში უკმაყოფილონი დარჩნენ რობერტსის ამგვარ საქციელით და ბევრმა კიცხვა დაუწყო მას. კორესპონდენტი ჩერჩილი ამბობს, მაგალითად, რომ კრონიე ისეთი კაცი არ არის, ამდენ პატივისცემას ღირსი რომ იყვესო; ყოველ შემთხვევაში მეტი იყო იმის მხლებლად ინგლისის გენერლის დანიშვნა და ბინის მიჩენა მისთვის საადმირალო გემზედო. ასეთი პატივისცემის შეგნება და დაფასება არც კი შეუძლიან კრონიესო.

— პრეზიდენტ კრიუგერის ერთ-შვილი-შვილის შესახებ აი რას მოგვითხრობს გაზეთები: „როცა შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანი ჰესტერ ჰეი მიდიოდა ლედისმიტიდამ პრეტორიაში, რკინის გზის ვაგონში შეხვდა ერთს თხუთმეტი წლის ჭაბუკს, რომელიც სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. ეს ჭაბუკი იყო შვილი-შვილი პრეზიდენტის კრიუგერისა. სიკვდილის დროს ის მიუბრუნდა ჰესტერ ჰეის და ხმის კანკალით უთხრა: „უთხარი დედაჩემს და ბებიაჩემს, რომ მე უშიშრად სული დავლიე სამშობლოსათვის". ჰესტერმა თვით მოსწერა ახალგაზრდა კაცს და ქ-ნ კრიუგერს მიუტანა, რომელმაც ტირილით წარმოსთქვა: „ჩემს ქალს შეუძლიან თავი მოიწონოს, რომ ასეთი შვილი ჰშობა".

— ტრანსვაალის ელჩს დოქტორ ლეიდსს წერილი გაუგზავნია დუბლინის (ირლანდიაში) ქალაქის საბჭოსათვის, რომლითაც მადლობას უცხადებს მას იმ კეთილ გრძნობისათვის რომელიც ბურებისადმი გამოიჩინა. ლეიდსი თავისს წერილში ამბობს: ძლიერ სასიამოვნოა, რომ ირლანდიელები, მომეტებულ ნაწილად, არ თანაუგრძნობენ სამხრეთ აფრიკაში სისხლის ღვრას და უარს უცხადებდნენ ომში მონაწილეობის მიღებაზედო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ებრაელთა რიცხვი მთელს ქვეყნის ძირზედ ამ ჟამად 11 მილიონს უდრის თურმე. მარტო ევროპაში 8 მილიონი ებრაელი ყოფილა, ამ რიცხვიდგან $4^1/_2$ მილიონი რუსეთში, ავსტრიაში—1.860,000, გერმანიაში—567,000, რუმინიაში—300,000, ოსმალეთში—120,000, და ინგლისში—101,000. წარმავალ მე-XIX საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობა მიუღია გერმანიაში 17,520 ებრაელს, ავსტრი-უნგრეთში—8.356 ებრაელს, რუსეთში—3,136 ებრაელს და ინგლისში—30,000 ებრაელს.

* * *

ამ რამდენისამე კვირის წინად ერთის გემის, სახელად „Darius"-ის, მგზავრებსა და ზღვაოსანთ დიდი ტანჯვა და უბედურება გამოუცდიათ. ეს გემი ცეილონიდგან ავსტრალიაში მიდიოდა თურმე. შუა ზღვაში გემი იმდენად დაზიანებულა, რომ სიარული აღარ შესძლებია. მაშინვე გემის უფროსს და იმის ხელქვეითთ დაუდგენიათ შეაჩერონ გემი და მოუცადონ რომელსამე სხვა გემს. ამავე დროს გემის უფროსის თანაშემწე ინსტონი და ხუთი ზღვაოსანნი პატარა ნავში ჩამჯდარან და მახლობელს ნავთსადგურისაკენ წასულან. ეს ნავთსადგური 230 ვერსის სიშორეზედ ყოფილა. მთელი თორმეტი დღე უწვალნიათ ნავში მჯდომთ. ამ თორმეტის დღის განმავლობაში ღელვა და ქარი არ შეწყვეტილა თურმე და პატარა ნავს, როგორც ბურთს ისე ატრიალებდა და აქეთ-იქით ისვრიდა. ამას სხვა უბედურებაც დაერთო თურმე: ნავი საშინლად დაზიანებულა და წყალს დაუწყვია შიგ დენა. ძალა და ღონე გამოლეული მგზავრები სასო წარკვეთილებას მისცემიან, მაგრამ ამ დროს გემისთვის მოუკრავთ თვალი. საუბედუროდ, რამდენი არ უყვირნიათ, გემიდგან მაინც ვერ შეუმჩნევიათ ნავი. ბოლოს იმედ გადაწყვეტილი მგზავრები ერთ ადგილას გაჩერებულან და ორი დღე და ღამე მოელოდნენ თურმე სიკვდილს, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ დროს ახალ გემს გაუვლია და მგზავრები გადაუსხამს. ხუთის დღის შემდეგ ეს გემი კილკუტის ნავთსადგურში შესულა, სწორედ ამავე დროს ნავთსადგურშივე გაჩერებულა ერთი სხვა გემიც, რომელიც დაზიანებულ „Darius"-ს მოათრევდა თურმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მარტი

**ლონდონი.** ლორენცო-მარკეზიდამ იუწყებიან 6 მარტს: პორტუგალიის ჯარების უეცრად გაგზავნას ტრანსვაალის საზღვრებისაკენ იმით ხსნიან, რომ გარლანდში ამბოხება მოხდა. ამბობენ, რომ ადგილობრივ ტომის ხალხის რაზმი ტრანსვაალიდამ გარლანდს შეესია და ბრძოლა აუტეხა იქაურ დიდ ტომის ხალხსო. გუბერნატორს არ შეუძლიან ამბოხების მოსპობა და მაშველ ჯარებს თხოულობს. იქ გაგზავნილ იქმნა ქვეითა და ცხენოსან ჯარის რაზმი ორი ზარბაზნით.

**იოკოჰამა.** იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა არ შეიწყნაროს კორეს მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ იაპონიის ყველა საფოსტო კანტორები დახურეთო.

**კარნარვონი.** უინგტონიდგან გამოქცეულებმა ამბავი მოიტანეს, რომ მეამბოხენი გამაგრდნენ კენგარტისა და ვანვიკოფლეს შუა, რათა წინააღუდგნენ მომავალი ბრიტანიის ჯარებსო.

**სპრინგფონტეინი.** როგორც ამბავი მოვიდა, 500 ბურისაგან შემდგარ რაზმს, რომელიც ვანდერპორტის უფროსობით ფორმსმიდტთან სდგას, გარდაუწყვეტია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლოს მტერს. ოლივიე 300 კაცით და 70 ურმით განდევნა ბრაბანტის ჯარმა ალივალპორტამდე; დიდძალმა ჯარის კაცმა თავი მიანება იმას კიდევ უფრო ადრე. ოლივიე გაჭირვებულს მდგომარეობაშია.

**მასსერა.** უკანასკნელ 48 საათის განმავლობაში მთავრობის მოხელენი და ბრიტანიის ჯარი, რომლებიც ერთი მეორისაგან 50 მილით არიან დაშორებულნი, ბურების ჯარის მოძრაობის შესახებ ცნობებს გელიოგრაფის საშუალებით აწვდიდნენ ერთმანერთს. ბურების ჯარი ათი მილის მანძილზედ მიდიოდა ბასუტოლანდის საზღვრის პირად. ბურებსა და ინგლისელებს შორის შეტაკებას ყოველს წამს მოელიან. ასამდე ორანჟელი ბური რუქსვილლიდგან ბასუტოლანდის მმართველებს დაჰნებდა.

**სოფია.** იმ ამბის შესახებ, რომელიც 7 მარტს მოხდა ვარნაში იმ აზრით, რომ დესეტინაზედ დადებულ ახალ გარდასახადის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოეცხადებინათ, იუწყებიან, რომ ყრილობას დასწრებია 50 გლეხი. გლეხები ჯოხებითა და ქვებით დაჰრევიან ჟანდარმებსა და ჯარის-კაცებს, რომლებიც პრეფექტურას გაუგზავნია. ჯარის-კაცებს თოფები უსროლიათ და მოუკლავთ ცხრა კაცი, ხოლო 11 დაუჭრიათ.

**კონსტანტინეპოლი.** იმ კოლლექტიურ ნოტის შესახებ, რომელიც უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა წარუდგინეს პორტას განზრახულ საბაჟო გარდასახადის მომატების წინააღმდეგ, გამოთქმულია აზრი, რომ პორტამ, თანახმად დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობისა და სავაჭრო ხელშეკრულობათა უქონლობის გამო, გარდასწყვიტა 1901 წლის პირველ მარტიდგან საკონვენციო ტარიფი შემოიღოს, ხოლო 1-ლ მაისიდგან საბაჟო გარდასახადს $5^0/_0$-მდე წაუმატოს.

**პარიჟი.** 18 მარტს მკურნალი ლედრსი პარიჟში ჩამოვა, რომ დელკასეს მიერ სადიპლომატო კორპუსისათვის განზრახულს ბანკეტს დაესწროს.

**სოფია.** საიდუმლო მრჩევლის კობეკის გამოგზავნის გამო „ნაროდნაია პრავა" სწერს: „ბოლგარია ბედნიერია, რომ დიდსულოვანი განმათავისუფლებელი რუსეთი ამ ჟამადაც თანაგრძნობით მოეპყრა ბოლგარიას იმითი, რომ შრომა მიიღო ნამდვილი ფინანსიური მდგომარეობა გაიცნოსო. გაზეთი ულოცავს მთავრობას, რომ რუსეთისადმი დამოკიდებულობის საქმეში ასეთს სასურველს შედეგს მიაღწია".

**ბერლინი.** გუშინ ტილზიტიდგან ტრიესტში 45 ზარბაზანი მოვიდა სამხრეთ აფრიკაში ინგლისის მხედრობისათვის გასაგზავნად.

**ბელგრადი.** სამოქალაქო სარწმუნო წრეებს ტენდენციოზურად და ყოველს საბუთს მოკლებულად მიაჩნიათ გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, ვითომ რუსეთის რწმუნებულს მანსუროვს თავისს მთავრობისაგან მიწერილობა მიეღოს სერბიის მთავრობასთან ყოველივე დამოკიდებულება მოსპოს. გუშინ მანსუროვმა მისაღებად დანიშნულს დღეს ჩვეულებრივი დარბაზობა გაუწია მინისტრ-პრეზიდენტს.

**პეტერბურგი.** 11 მარტს ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ვარშავის რკინის გზით დანიაში წაბრძანდა.

**ვარრენტონი.** გუშინ მტერმა თოფები დაუშინა ხიდის დარაჯს, რომელსაც ინგლისელებმა პასუხი გასცეს; არტილერია არ ჩარეულა საქმეში. ცხადია, ხიდზე გასვლის დროს სასტიკი ბრძოლა მოხდება.

ამბავი მოვიდა, რომ ორანჟის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთის ფერმერები, რომელნიც უკვე დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში, ისევ დაბარებულ იქმნენ უკანვე და ბრძანება მიუვიდათ ტრანსვაალში მოდითო.

12 მარტი.

**პეტერბურგი.** დიდის სამთავროს ფინლიანდიის მინისტრ-სტატს-სეკრეტარის ამხანაგს, გენერალ-ლეიტენანტს პროკოპეს ებოძა ინფანტერიის გენერლობა და დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისავე თხოვნის თანახმად.

**ჟენევა.** კარათეოდორი — ფაშას დღეს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა სულთანის სიძეს მახმუდ ფაშასთან. მახმუდის მახლობელნი ამბობენ,—კარათეოდორი მახმუდზედ ადრე მოვიდა აქ და მოახერხა, რომ თავის ნებით წასულიყვნენ ოსმალეთში ორნი გავლენიანნი ახალგაზდა ოსმალთა დასისანი, რომელთაც საუკეთესო სახელმწიფო თანამდებობანი დაჰპირდაო.

**ვენა.** „Politische Correspondenz"-ი იცნობება პასუხს ავსტრო-უნგრეთის მთავრობისას, რომელიც მას შეუთვლია ბერლინის კაბინეთის შემწეობით მიღებულ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკათა იმ თხოვნაზედ, რომ შუამდგომლობა გაგვიწიეთ მშვიდობიანობის აღსადგენადაო. არსებითი ნაწილი პასუხისა ასეთია: ავსტრო-უნგრეთი მხურვალედ არის მოწადინებული, რომ სამხრეთს აფრიკაში სისხლის ღვრა მოისპოს და მშვიდობიანობა იქმნას აღდგენილი, და სიამოვნებითაც გაუწევდა დახმარებას ამ წადილის აღსრულებას, მხოლოდ მაშინ-კი, როდესაც შუამავლობა შესაძლებელი იქნებოდა, ესე იგი ორივე მებრძოლნი რომ მზად იყვნენ შუამავლის შემწეობით საქმის დაბოლოვებას. გარნა რაკი ეს გარემოება ჯერ არა არსებობს, ავსტრი-უნგრეთის მთავრობას არ შეუძლიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების თხოვნის აღსრულებაო.

**პარიჟი.** კრისტიანის განთავისუფლების ბრძანება უკვე ხელ-მოწერილია და საღამოზედ საპატიმროდგან გამოუშვებენ.

**რომი.** პალატა. პაისი შეეკითხა: ეხლა, როდესაც ინგლისს უკვე შეეძლო სავსებით აღედგინა თვისი სამხედრო სახელი სამხრეთ აფრიკაში, შესაძლებელად ხომ არ მიაჩნია ვისკონტი-ვენოსტას, რომ იტალიამ მებრძოლთ წინადადება მისცეს,—შუამავლობას ვიკისრებ თქვენს შორის მშვიდობიანად საქმის დასაბოლოვებლადაო. ვისკონტი-ვენოსტამ უპასუხა: მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობამ ამას წინად განაცხადა, რომ არავის შუამავლობას არ მივიღებთო, კვლავ გამოირკვა, რომ ამ მხრივ დიპლომატიურის გზით მეცადინეობას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ ექმნებაო.

**სოფია.** რუსეთის ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი კობეკო მოვიდა აქ. ხმა დადის, რომ იგი აქ ბოლგარიის საფინანსო მდგომარეობის შესასწავლად არის მოსულიო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც ფულად თუ წიგნებად შემწეობა აღმოუჩინა ჩემდამო რწმუნებულს მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. სია შემომწირველთა: სილოვან ერქომაიშვილმა 2 მან., სოლომონ ართმელაძემ 1 მ., მანასე ჩხაიძემ 1 მ., ნესტორ კეჭაღმაძემ 1 მ., ნოე ხომერიკმა 1 მ., დავით ქაგნელიძემ 1 მ., ალექსი ხომერიკმა 60 კაპ., საჩინო ცომაიამ 50 კაპ., მოსე კეჭახმაძემ ოცი მანეთის წიგნები, ანეტა ცომაიას ასულმა 12 წიგნი, სილოვან ერქომაიშვილმა მანეთ-ნახევრის წიგნი, რაჟდენ ტუღუშმა ერთი წლის „ნივა" და თერთმეტი შაურის წიგნაკები.

მადლობასვე ვწირავთ ვარდენ ჩხაიძეს და ნიკიფორე ხომერიკს, რომელთაგან პირველი გვიგზავნის ამა წლის „კრებულს" და მეორე „ჩერნომორსკი ვესტნიკს".

მიქელ-გაბრიელის სამკითხველოს გამგე მოსე ა. მეგრელიძე

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ გაზეთ „ივერიის", „კვალისა" და „კრებულის" რედაქტორთ, რომელთაც თავიანთი ჟურნალ-გაზეთები უფასოდ დაგვითმეს ტფილისის სახელოსნო ღარიბ სასწავლებლის მოსწავლეებს.

ამხანაგების მაგივრ ნ. ბერეჟიანი

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ნიკო გალოგრეს, იოსებ ჩიტაიშვილს, თედორე მგელაძეს, ლავრენტი ჯახუას, სილოვანე გორგაძეს, ვარდენ დუმბაძეს, ალექსანდრე ხვინგიას, ივანე დუმბაძეს, ყაისარ ჭანუყვაძეს, ტარასი დუმბაძეს, ნესტორ სურგულაძეს და ტრიფონ გერკელიძეს, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებელს თხუთმეტი მან.

შემოქმედის სკოლის ზედამხედველი ს. წაქაძე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

**სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი**

16 მარტი.

საქმე ბრალდებულის ფოთის პოლიცმეისტერად ნამყოფისა მაქსიმე ვოლობუევისა, ინჟენერის ევგენი მეიერისა და სხ., რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 236 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

18 მარტი.

საქმე გიორგი თომაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

საქმე მიხეილ მეფისაშვილისა, ტუფან-რაჯაბ-ოღლისა და სხ., რომელთაც ივანე მეფისოვის მოკვლა ჰბრალდებათ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 15 მარტს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის წყლის მილის გამგისათვის ავჭალაში სახლის აგებისა და საცხოვრებელ სახლის შეკეთების საქმე, სულ 5653 მანეთისა და 16 კაპეიკისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Марта 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე